გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 48

2022 წლის 11 მარტი

ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ბექა ხითარიშვილს შორის 2019 წლის 28 მარტს გაფორმებული №6 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

,,გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 09 მარტის №43 განკარგულებისა და ,,გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 09 მარტის №44 განკარგულების საფუძველზე, აუქციონი შედეგად, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ბექა ხითარიშვილს შორის 2019 წლის 28 მარტს გაფორმდა №6 პრივატიზაციის ხელშეკრულება იმ პირობით, რომ პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქ. გორი, დიმიტრი ყიფიანის ქ. N52ვ, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 43 კვ.მ; ს/კ 66.45.07.333) მყიდველი ვალდებული იყო მოეხდინა მიწის ნაკვეთის განაშენიანება და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღება განეხორციელებინა პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადაში.

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესული იყო ბექა ხითარიშვილის განცხადება, რომელშიც იგი აღნიშნავდა, რომ არსებული პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვებიდან გამომდინარე, ხელი შეეშალათ სამშენებლო მასალების შესყიდვაში, ადგილზე მიტანაში, სამუშაოების დასრულებაში და შესაბამისად - პირობის შესრულებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბექა ხითარიშვილი ითხოვდა მითითებული პირობის ვადის გაგრძელებას ერთი წლით, რაც, პანდემიიდან გამომდინარე არსებული შეზღუდვების და მითითებული გარემოების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად ჩაითვალა და „გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ბექა ხითარიშვილს შორის 2019 წლის 28 მარტს გაფორმებული №6 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 12 მარტის № 44 განკარგულების საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის მერიამ შეცვალა გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ბექა ხითარიშვილს შორის 2019 წლის 28 მარტს გაფორმებული №6 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობა და პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქ. გორი, დიმიტრი ყიფიანის ქ. N52ვ, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 43 კვ.მ; ს/კ 66.45.07.333) განაშენიანების

განხორციელების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადის ნაცვლად განსაზღვრა პრივატიზაციიდან 3 (სამი) წლის ვადა.

2022 წლის 11 თებერვალს N19/202204245-20 განცხადებით ბექა ხითარიშვილმა მიმართა გორის მუნიციპალიტეტის მერიას და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ითხოვს ვადის კიდევ 1 (ერთი) წლით გაგრძელებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, მითითებული ვადის კიდევ ერთი წლით გაგრძელება გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ბექა ხითარიშვილს შორის 2019 წლის 28 მარტს გაფორმებული №6 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე - პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქ. გორი, დიმიტრი ყიფიანის ქ. N52ვ, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 43 კვ.მ; ს/კ 66.45.07.333) განაშენიანების განხორციელების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 3 (სამი) წლის ვადის ნაცვლად პრივატიზაციიდან 4 (ოთხი) წლის ვადის განსაზღვრის თაობაზე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების საფუძველზე,

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ბექა ხითარიშვილს შორის 2019 წლის 28 მარტს გაფორმებული №6 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე - პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქ. გორი, დიმიტრი ყიფიანის ქ. N52ვ, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 43 კვ.მ; ს/კ 66.45.07.333) განაშენიანების განხორციელების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 3 (სამი) წლის ვადის ნაცვლად პრივატიზაციიდან 4 (ოთხი) წლის ვადის განსაზღვრის თაობაზე.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე